ხელშეკრულება №26/1221
"სავიზიტო ბარათები"(CPV კოდი:30199730) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 22 მაისი 2012წელი

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. საქართველოს საგარეო სქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის თამარ კობერიძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ქეჩერა" წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ ჩიქოვანის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1]) ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ს.ს.ი.პ. საქართველოს საგარეო სქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის საჭიროებისათვის "სავიზიტო ბარათები"(CPV კოდი:30199730) მიწოდება;

1. ხელშეკრულების ღირებულება
   ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 250.00 (ორასორმოცდაათი) ლარს;

1.1.საქონლის ერთეულის ღირებულება შეადგენს 0.25(25თეთრს);

1.2.ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით, რომლის გადახდაც ეკისრება „მიმწოდებელს";

2. საქონლის ოდენობა, სახეობა და მიწოდების პირობები
   „შემსყიდველის" საჭიროების შესაბამისად „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს 1000 ცალი "სავიზიტო ბარათები"(CPV კოდი:30199730) მიწოდებას ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში ეტაპობრივად მოთხოვნის შესაბამისად მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი შ.ჩიტაძის ქ.№4;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.„მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.2.„მიმწოდებელი" ფაქტიურად მიწოდებული საქონლის თაობაზე „შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს (ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით;

3.3.„მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება -ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1.1. „შემსყიდველი“ მიღებული საქონლის თაობაზე ყოველ ეტაპზე „მიმწოდებელთან“ ადგენს მიღება -ჩაბარების აქტს;

1.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე „შემსყიდველის“ მიერ იმ საქონლის მირება, რომელიც უნდა მიაწოდოს „მიმწოდებელმა“ ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით;

1.3. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“;

1.4. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთვევაში „შემსყიდველის“ მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

5. მხარეთა უფლებები

5.1. “მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

5.1.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადახდა;

5.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

5.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

5.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

6. მხარეთა ვალდებულებები:

6.1.1. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

6.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. და მე-6 მუხლის 6.1.1. პუნქტის შესაბამისად.

6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული

შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, „შემსყიდველის" საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სახვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელსეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

8.1.თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევების დროს;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;

9.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის(შეთანხმების) გზით.

11. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

11.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო დააკისროს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ოდენობით;

11.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

11.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

11.4. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს" ან/და „მიმწოდებელს" უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება;

11.5. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12. ხელშეკრულების კონტროლი

12.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

12.2. „შემსყიდველის" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

12.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით.

იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით,გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი".

12.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრეული პირობები

ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ერთი პირი „მიმწოდებელთან“ ორი პირი „შემსყიდველთან“.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„„მიმწოდებელი“
ს.ს.ი.პ. საქართველოს საგარეო სქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი	შპს „ქეჩერა“
მის: ქ.თბილისი, ჩიტაძის ქ.№4	მის: ქ.თბილისი, დოლიძის ქ. კორპ. 27
საქართველოს ეროვნული ბანკი	ს/ს „პროკრედიტბანკი“
კოდი:220101107;	ბანკის კოდი: MIBGGE2222
ა/ა №200122900;	ა/ა:GE14PC0113600100029301
ს/კ №204579456;	ს/კ: 205268681
	ტელ: 577 434 522
დირექტორის მოადგილე	დირექტორი
თამარ კობეროიძე	ნიკოლოზ ჩიქოვანი